საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

აურელია

აურელია

აურელია (Aurelia aurita), უხერხემლო ცხოველი ნაწლავღრუიანთა კლასისა. ფართოდაა გავრცელებული ზღვებსა და ოკეანეებში. დიდი რაოდენობით გვხვდება შავი ზღვის საქართველოს სანაპიროებთან. აქვს 40 სმ-მდე დიამეტრის ქოლგისებრი, უფერო, გამჭვირვალე, ლაბოვანი სხეული. იკვებება წვრილი კიბოსნაირებით, თევზების ქვირითითა და პატარ-პატარა ცხოველებით. ცუდად ცურავს. ა., სხვა ახლობელი მედუზების მსგავსად, იჭმევა. იაპონიასა და ჩინეთში მოწყობილი აქვთ ამ მედუზების სპეც. სარეწები, სადაც ყოველწლიურად ათასობით ტონა ე. წ. „ბროლის ხორცს“ ამზადებენ.